ახალი

სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი, 11 თებერვალი 1910 წ.

№ 7

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გბრეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კას. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახეაა მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჰიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

დედა ნადეჟდა დიმიტრის ასული, ოლგა ფეოდორას ასული და დიდედა ბარბარე ატეფანეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 12 თებერვალს, 2 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაშია გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი

ალექსანდრა (შურა) ფეოდორას ასული პიშკინას

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

წარმოდგენა 34 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 34

ხუთშაბათს 11 თებერვალს 1910 წ.

გასტროლი ნ. დ. დავითაშვილისა.

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ ბ. ვლ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება: პირველად ახალი პიესა ი. პოტაპენკოსი

მომხიბლავი ზღაპარი

დრამა 4 მოქ. თარგ. შ. დავითაშვილისა.

ილენი: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე.—ნნი: ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ვანიძე, დ. მგალობლიშვილი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, გ. იმხნელი.

ადგ. ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე. პარტერი 2 მ. 50 კ-დან 75 კ-მდე ალერეა 50 კ.—25 კ-დე, მოწაფეთათვის 50 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 14 თებერვალს, ბენეფისი ტასო აბაშიძისა წარ. იქნება შირვან-ზადეს იესა „ნამუსისათვის" და „გულმა იგრძნო"

მზადდება წარმოსადგენათ: «დანაშაული და სასჯელი" დოსტოევსკისა, „შავი ბიჭი"

რეჟისორი: ვლ. ალ.-მესხიშვილი რეჟ. თანაშემწე: გ. ურუშაძე.

სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 14 თებერვალს

ნ. ი. მირმოლოევი წაიკითხავს ლექციას:

პოლიტიკურ ეკონომიაზე

ლექციის შემდეგ გაიმართება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გავრიშევა, სოლოდიანი, დავიდოვისა. ბ-ნი: რთანოვი, გოფმანი და ჩაროვი.

ძმები პალცევები დაუკრავენ სკრიპკაზე

დასაწყისი დილის 11 საათზე· აკომპანიმენტი მ. ფ. ზეიცი.

ბილეთების ფასები 5 კაპ. და 10 კაპ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე თედო ღოლიძესთან და აგრეთვე რკი-ს გზის სახელოსნოში: «სბორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაი-სთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების" დეპოში ნ. ისტეროვთან, ქართველთა ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში" ლაძესთან, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილთან, „შრომის" სტამბაში ნესტორ ცაძესთან.

ერიდეთ

შეცდომაში არ შეხვიდეთ!

რა საჭიროა 10 ცალში 5 კაპ. იხადოთ, როცა იმავე ფასში შეიძლება ორჯერ მეტი უკეთესი პაპიროსები იყიდოთ:

ДРУЖБА
и
ТОВАРИЩЪ

20 ცალი 5 კ.

რომ პაპიროსები საუკეთესო ხარისხის არის, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ბაზარზე გამოიტანეს ამ ფირმის ყალბი პაპიროსები, ამიტომ ყიდვის დროს ფრთხილათ იყავით, მიაქციეთ ყურადღება ფაბრიკის

მარკას და ფირმას

ნ. ი. ბოზარჯიანცი შვ-თ

თფილისში. (10—9)

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. ლ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

გურჯი გ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ძიძიძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

ქარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

სოგოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—79)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ვაზაჟმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ· ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—80)

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს, საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

თფილისი, 11 თებერვალი.

3 ივნისის სახელმწიფო დუმას სხვა უბედურობასთან ერთი სენიც თან დაყვა. თვე ისე არ გაივლის, რომ დუმაში ახალი ფრაქცია არ გამოიჩეკოს, ან უკვე ჩამოყალიბებულ ფრაქციათა შორის შეთანხმება-გათიშვამ თავი არ იჩინოს... ხან მემარჯვენე ელემენტები ეყოფიან ოქტომბრისტებს, ხან ზომიერი მემარჯვენენი მიჩოჩავენ ოქტომბრისტებისაკენ; დღეს ბალაშოვი მოისურვებს ახალი ფრაქციის დაარსებას და მის ბელადობას, ხვალ ურუსოვი მიილტვის განცალკევებისაკენ, ზეგ კიდევ რომელიმე გზა-კვალ აბნეული დეპუტატი ნაციონალისტთა ფრაქციას აარსებს და ასე დაუსრულებლივ...

რას წარმოადგენს ამ დროს დუმის ცენტრი? ყავს თუ არა მას მტკიცე უმრავლესობა, რომელზედაც შეეძლოს საჭიროების დროს დაყრდნობა? დუმის ცენტრი ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ნაწილისაგან შესდგება... ცენტრის ერთი ნაწილის თანაგრძნობა მიპყრობილია დუმის მარჯვენა ფრთისაკენ. ის მემარჯვენეთა თითქმის ყოველ გამოსვლას ალტაცებითა და ტაშისცემით ეგებება, კენჭის ყრის დროს მემარჯვენეთა წინადადებებს და რეზოლიუციებს უჭერს მხარს და სხვ. ერთი სიტყვით, ცენტრის ამ ნაწილს მხოლოდ პარტიული სახელწოდება-ღა აკავშირებს პარტიის მეორე ნაწილთან, თორემ არსებითათ მისი ადგილი მემარჯვენეთა ფრაქციაშია. ეს არის ოქტომბრისტების მარჯვენა ფრთა. ამ ფრთის საწინააღმდეგო მიდრეკილებანი ემჩნევა ოქტომბრისტთა პარტიის მეორე ნაწილს. ის უფრო მარცხნივ იხრება და ყოველ ხელ-საყრელ შემთხვევაში კადეტებს თავისი მოხერხებული თვალის ქნევით იმორჩილებს.. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ოქტომბრისტთა პარტიის დეპუტატები მაინცა და მაინც დიდ მორჩილებას არ იჩენენ პარტიული დისციპლინისადმი, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ დუმის ცენტრს მტკიცე უმრავლესობა არა ყავს და კენჭის ყრის დროს ის კედლის საათის ენასავით მარჯვნივ-მარცხნივ ქანაობს. კითხვის ამა თუ იმ სახით გადაწყვეტა დამოკიდებულია არა ცენტრის უმრავლესობაზე, არამედ შემთხვევაზე და კერძოთ მემარჯვენეთა სულიერ განწყობილებაზე. ურიცხვ მაგალითებს შორის საკმარისია ჩვენი აზრის დასასაბუთებლათ გავიხსენოთ თუნდა ის შემთხვევა, რომელსაც რამოდენიმე დღის წინათ ქონდა ადგილი· ადგილობრივ, სასამართლოების შესახებ კამათის დროს მემარჯვენენი, რასაკვირველია, არა კეთილი განზრახვით, მემარცხენეებს შეუერთდენ და საარჩევნო ცენზის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ცენტრი კი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა. ერთი სიტყვით, უპრინციპობა, ტაქტიკის უქონლობა, მუდმივი რყევა და დაუსრულებელი დაშლა-დარღვევა—აი, რა ახასიათებს დღეს სახელმწიფო დუმის ცენტრს—ოქტომბრისტებს.

ამ დღეებში დუმის ფრაქციათა ცხოვრებაში კიდევ მოხდა ერთი ცვლილება: ზომიერი მემარჯვენენი სრულიად რუსეთის ნაციონალისტთა კავშირს შეუერთდენ. ადრე თუ გვიან ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ერთი საერთო დევიზიც საკარისი იყო მათი შეერთებისათვის; ეს საერთო დევიზი არის: „რუსეთი—რუსებისათვის». თავ. ურუსოვი ამ სიტყვებს ასე განმარტავს: ჩვენ „ინოროდცების" საწინააღმდეგო არაფერი არა გვაქვს, მხოლოდ ჩვენ მოვითხოვთ რუსების ბატონობა ყოველ ადგილას უზრუნველყოფილი იქნეს. თუ ურუსოვის ნათქვამის პირველ ნაწილს უკუვაგდებთ, რადგან იგი მისი ნათქვამის მეორე ნაწილს სრულებით ეწინააღმდეგება და მხოლოდ პირფერობითა და გაიძვერული მოსაზრებით არის ნახმარი,—ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ შეერთებულ ფრაქციათა მიზანია ერთი ერის გაბატონებით რუსეთის დანარჩენ მრავალ-რიცხოვან ერებს ყოველგვარი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებანი ჩამოართვაონ. შეერთებულ ფრაქციებს სურთ განახორციელონ ის, რასაც თვითეოული მათგანი დღემდისაც მისდევდა საკუთარი ძალღონით. ცხადია, შეერთებული ძალით უფრო ადვილათ შესძლებენ მემარჯვენენი და რუსეთის ნაციონალისტები საერთო მისწრაფების განხორციელებას. და რამდენადაც ეს შეერთება ამ ფარგლებში რჩება, მას მოკავშირე მხარეებისთვის დიდი მნიშვნელობა, ანუ მთავრობის ოფიციოზის „როსიას" სიტყვით რომ ვსთქვათ,-„მსხვილი' მნიშვნელობა ეძლევა.

რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას დუმის საკანონ-მდებლო მოქმედებაზე? ისეთივე, როგორი მნიშვნელობაც ქონდა დეპუტატების გადაჯდომ-გადმოჯდომას აქამდისაც, ე. ი. დასახელებულ ფრაქციათა შეერთება ვერც არსებითად შესცვლის სახელმწიფო დუმის მუშაობის ხასიათს და ვერც დააჩქარებს ამ მუშაობას. საკანონმდებლო მუშაობის ხასიათის შეცვლისათვის და დაჩქარებისათვის საჭირო არა დეპუტატების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჯდომა ან ფრაქციების გაბუტული წევრების შეერთება, არამედ, როგორც დეპ. პოკროვსკიმ განაცხადა, უფრო რადიკალური საშვალება: „უნდა დათხოვნილ იქნას 3 ივნისის დუმა და მის ალაგას შემოღებულ იქნას ჭეშმარიტი სახალხო წარმომადგენლობა".

* * *

პრესა

„ზაკავკაზიე"-ს მე 31 და მე-32 №№-ში მოთავსებულია ბ-ნ ლევან ყიფიანის წერილები. ამ წერილებში ბ-ნი ყიფიანი მოგვითხრობს, თუ როგორ და რა პირობებში მოუხდა მას ბ-ნ მირზოევის მიერ გამოცემულ გაზეთში მუშაობა და რა დამოკიდებულება იყო და დამყარდა მათ (ნაგურსკთან ერთათ) და მირზოევს შორის. ბ-ნი ყიფიანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის „შეცდომით" გულუბრყვილო ნდობით ჩავარდა ასეთ მდგომარეობაში, რომ მან არ იცოდა მირზოევის „უკანა აზრები და მიზანი" და რომ ის მიენდო მირზოევს რომელის პიროვნების, შესახებ მას კარგის მეტი არაფერი გაეგონა. ბ-ნი ყიფიანი იმასაც გადმოგვცემს, რომ მირზოევის გეგმა სხვებმაც იცოდენო და ასახელებს კიდეც ასეთ პირებს. თუ რა იცოდენ მის მიერ დასახელებულმა პირებმა, ამაზე თვით ის პირები გასცემენ პასუხს. მხოლოდ არ შეგვიძლია ამ ხელათ არ შევნიშნოთ, რომ არამც თუ იმის მიერ დასახელებულ პირებს, კიდევ სხვებსაც რომ ცოდნოდათ მირზოევის პლანი, ეს არ ჩაითვლება, რასაკვირველია, მათ გასამართლებელ საბუთათ, რადგან ისეთ პირობაზე, რომელიც მათ შეჰკრეს მირზოევთან, ჟურნალისტი ხელს ვერ მოაწერს, თუ ის თვითონაც არ იზიარებს ამის შინაარს. რომც დაუშვათ მათი ასეთი „შეცდომა", ის დამოკიდებულება, რომელიც დამყარებულა ბ-ნ მირზოევს და მათ შორის და, თან რაც უფრო საყურადღებოა, მირზოევის მიერ ბატაილის დაცვის ცდას, აშკარათ უნდა დაემტკიცებია მათთვის, რომ „ეჟენ. ობოზრენიე"-ში ყველაფერი არაა რიგზე, თავიც უნდა გაენებებიათ იქ მუშაობაზე და კიდევაც ყოველივე სინათლეზე გამოეტანათ.

ბ. ყიფიანი იმეორებს, რომ მირზოევმა მითხრა—ჩემი პლანი გავაცანი კ. ჯაფარიძეს და ნ. ელიავას და ისინი მასში არაფერს ეთიკის საწინააღმდეგოს არ ხედავდენო. კერძო თათბირზე კი, რომელიც გაიმართა ამ საქმის შესახებ ქალაქის თვითმართველობაში, გამოირკვა, რომ არც ჯაფარიძეს და არც ელიავას არაფერი არ სცოდნიათ; ეს განაცხადა თვით მირზოევმა, და ამასვე იმეორებს თავის წერილშიაც, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება.

რა კი ბ. ყიფიანს ეჭვი შეპარვია ხსენებული პირობის ეთიკასთან შეუსაბამობაში და თან მირზოევს ისეთი პირები უმოწმებია, რომელსაც ის თვითონაც კარგათ იცნობდა და ხშირათაც ხვდებოდა, რატომ ერთხელ მაინც არ შეეკითხა მათ ამის შესახებ?

საქმის ამ ნაწილის შესახებ საბოლოო მსჯავრის გამოტანას ჩვენ დაუცდით იმ კომისიის გამოძიებას, რომელიც ახლა აირჩია ჟურნალისტთა საზოგადო კრებამ.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10. თებერვალი

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. რეიტერს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: ტყუილია ის ხმები, თითქოს აბდულ-ჰამიდი გარდაცვლილიყოს.

სათემო პალატა. ასკვიტმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის გარდა სესია გაარჩევს მნიშვნელოვან საკითხს ლორდების შესახებ. ბიუჯეტს ხელახლა განიხილავენ სააღდგომოთ, მაგრამ ლორდთა პალატას არ გადასცემენ, სანამ სათემო პალატა არ მოიწონებს რეზოლიუციას ორივე პალატის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ. ეს რეზოლიუცია სპეციალურ ბილლის შინაარს შეადგენს.

ლონდონი. სათემო პალატა. საპასუხო ადრესის შესახებ კამათის დროს ბალფურმა კმაყოფილება განაცხადა საზღვაო პროგრამის შესახებ განცხადების გამო. ასკვიტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ არ თხოულობს მეფიდან არავითარ გარანტიას, რადგან პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწე ვალდებულია პოლიტიკური კითხვების განხილვის დროს, რამდენათაც შესაძლებელია არ შეეხოს მონარქის პრეროგატივებს. დასასრულ ასკვიტმა სთქვა: მთავრობამ გადაჰქვა თავის ბედი ბიუჯეტთან და ლორდთა პალატის ვეტოს შესახებ რერეზოლიუციასთან. ეს კითხვები მთავრობის პოლიტიკურ პროგრამის ნაწილს შეადგენენ. ის სასწორზე დასდებს თავის არსებობას, რომ როგორმე გაიყვანონ ეს სათემო პალატაში. ირლანდიის დეპუტატმა ჩედმინდმა განაცხადა, რომ უკეთუ მთავრობა გარანტიას მისცემს რომ ვეტოს შესახებ კანონ-პროექტი დაკანონდება ამ წელში, ნაციონალისტები ბიუჯეტს ხმას მისცემენ.

კონსერვატიული გაზეთები აცხადებენ, რომ მთავრობის დამარცხებამ მოლოდინს გადააჭარბა. ლიბერალური გაზეთები ფიქრობენ, რომ მთავრობა დაეცემა, უკეთუ ნაციონალისტებთან შეთანხმება ვერ მოახერხა.

ფრანკფურტი-მაინზე. ,,ფრანკ. ცაიტუნგ''-ს ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: გერმანიის ელჩმა მოსთხოვა კრიტოსის მთავრობას წარმოუდგინოს კრიტოსის ჟანდარმერიაში მოსამსახურე ბერძენთა ყველა ოფიცრების სია. ძალიან ეშინიათ, რომ სახელმწიფოები მოითხოვენ ამ ოფიცრების უკან გამოწვევას.

ბერლინი. ლანდტაგის კომისიამ მიიღო ცენტრის და კონსერვატიულ პარტიის წინადადება შემოღებულ იქნას საიდუმლო და არა პირდაპირი არჩევნები. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ წინადადებას მთავრობა არ მიიღებს.

ფილადელფია. დაიჭირეს ტრამვაის გაფიცულ მოსამსახურეთა მეთაური. მუშათა კავშირის ცენტრალურმა პრეზიდიუმმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა.

სევილია. მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც გამოცხადდა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ამნისტია.

რუსეთი.

კრონშტადტი. კრონშტადტის ნავთსადგურის სამხედრო სასამართლოში არჩევენ კაპიტან ბოლტინის და კომისარ ჩეკანოვის საქმეს, რომელსაც მატროსების ტანისამოსის გაყიდვას აბრალებენ.

მოსკოვი. რესტორან „ერმიტაჟ“-ში გაიმართა ბანკეტი საფრანგეთის სტუმრების პატივსაცემლათ. წარმოითქვა მრავალი სიტყვები. სხვათა შორის დ. ესტურნელმა და დ. კონსტანმა განუცხადეს მთავრობას, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი არ შეეკრა, მას შეკრავდა ხალხი. რადგან ორივე ხალხს ერთი და იგივე მისწრაფება, ერთი და იგივე გრძნობა და გული აქვს, შემდეგ ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა რაუტი. დაესწრო ათასი კაცი. რაუტის ბოლოს კონცერტი გაიმართა.

რომი. დაიჭირეს სამი კაცი, რომელთაც პაბიანიცის გზა-ტკეცილზე თავდასხმაში მონაწილეობა მიიღეს.

დონის-როსტოვი. სადგურ ვისელკი რაზვიე და რაზიეზდ კოზირკის შუა საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა. დაიმტვრა ვაგონები, დაიჭრა ორივე მემანქანე, მათი თანაშემწეები, მთავარი და უმცროსი კონდუქტორები.

ვარშავა. სოლქო სასამართლომ სახელმწიფო დუმის წევრ ალექსეევის საჩივრის გამო, სამსახურიდან გამოსულ გენერალ ნიკიფოროვს და „ვარშავს. უტრო“-ს რედაქტორ უსმანს თითო თვის დატუსაღება გადაუწყვიტა.

პავლოგრადი. საერობო სამმართველომ დაადგინა გამართოს სოფლებში სააგრონომიო კითხვები.

ხარკოვი. ქალაქის საბჭო შეუდგა შემოიღოს ქალაქში საყოველთაო სწავლა, და საფრანგეთში წყალდიდობით დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდო 1000 მანათი. ქალაქში ამ მიზნით შეგროვდა 18 ათასი ფრანკი.

სამგლოვიარო წერილი.

ჩვენ, ყოფილი მისი მოსწავლეები, ვუერთდებით ნათესავებისა და ამხანაგების საერთო მწუხარებას ძვირფასი მასწავლებლის მელიტონ ჩოგავაძის უდროვოთ გარდაცვალების გამო. მისი კეთილი ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენში.

რაფიელ რამიშვილი, თეოფილე გურგენიძე, იუსტინე კალანდაძე.

მცირე შენიშვნა.

გაზეთ „მომავლის“ 127 ნომერში ამოვიკითხეთ, რომ პარიზში დაარსდა ქართული საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს ევროპას გააცნოს ქართველთა ცხოვრებაო. როდესაც ამ მიზნისაკენ მოუწოდებდა ჩვენი ნაციონალისტები ქართველ ინტელიგენციას, მეგონა საჭირო არ იყო არავის ახსნა-განმარტება, უამისოდაც ყველა მიხვდებოდა, რომ ასეთი საზოგადოების დაარსება და ასეთი შრომა მიზნის შეუფერებელი და მაშასადამე უაზრობა იყო, ამიტომ ვფიქრობდი, მოწოდება დარჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. სული ცოდვილო! ერთხელ, როდესაც „ცნობის ფურცელი“ ჰქადაგებდა ამ აზრს, დავაპირე პატარა შენიშვნის დაწერა, მაგრამ ისევ გადავიფიქრე: „განა საჭიროებს ქართველი ინტელიგენცია ჩემისთანა უსწავლელი კაცის დარიგება-გაფრთხილებას, ეს ხომ მისი შეურაცყოფა იქნება“ მეთქი. დღეს როგორც ვხედავთ, მოწოდებას გამოუჩნდა საკმაო მიმდევრები და იდეის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგენ.

„მერე რა არის აქ სამწუხარო?“-ო, შემომძახებს ვინმე გულუბრყვილო. ერთი შეხედვით მართლაც არაფერია სამწუხარო, პირიქით სიმპატიური მოვლენაა; მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით და თუ ღრმათ ჩაუკვირდებით, მაშინ დავინახავთ, რომ სამწუხარო და სავალალოა ახალგაზდა ძალების ამ გზაზე გაცდენა დღეს, როდესაც თვით პატრიოტების მრავალი გამოკვლევებით ქართველები თანამედროვე კულტურულ ერებში არარას წარმოვადგენთ, ვერაფერი ისეთი ვერ წარმოვშვით, რითაც ვინმეს ყურადღება მიგვექცია. „ინტელიგენცია სუსტი გვყავს, ძალები არა გვყავს!“ გვესმის აქეთ-იქიდან და ამავე დროს ძალებს ვაცდენთ იმისთვის, რომ ევროპას გავაცნოთ თავი, ე. ი. ევროპას გავაცნოთ ჩვენი არარაობა. ვიცი, ზოგიერთი შემომკივლებს: „წარსული, წარსული! ჩვენი წარსული, ჩვენი სიამაყე გავიწყდებაო“-ო მაგრამ ეს ხომ კრილოვის ბატების გამოჯავრებაა და ევროპიელებსაც თამამად შეუძლიათ გვითხრან, ისე როგორც კრილოვის ბატებს უთხრა მგზავრმა: „მოასვენეთ წინა პარნი, იმათ თავიანთი მიუღიათ მაგრამ, მეგობრებო, თქვენ კი მარტო წარსულზე ტრაბახობისათვის ვარგებულხართო. „განა მარტო წარსული? მათ ხომ მიზნათ დაისახეს თანამედროვე მწერლების გადათარგმნა“-ო, —მეტყვის მეორე. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი თანამედროვე მწერლობაც, ცოტაოდენი გამოკლებით, იმავე კრილოვის ბატების გზაზე ადგას და მეტი თავისი ძალა წარსულის ქება-აღწერას შეალია. პატარა ოაზისები მესამოცე წლების მოღვაწეთა ნაწერებში არის, მაგრამ, რამდენათაცგამიგია, ესენი გადათარგმნ. უნდა იყოს. ან იქნებ პატივცემულ ახალგაზდებს უნდათ გადუთარგმნონ ევროპას „ჩვენი ახალი მწერლები“, როგორც მაგალითად: აკობია, დვალი, გვაზავა, ხეობელი, გოთუა და ძმანი მათნი? „აი ბატონი ევროპიელნო, 1905 ში ქართველებმა ისტორია შევქმენით და მის გასაცნობათ ინებეთ «ისტორიული ნაწარმოებნი“,—ხეობელის ბრაშიურა და გოთუას „დრამა“-ო, ამყათ შეუძლიათ უთხრან ევროპიელებს. ამას გარდა შეუძლიათ გააკვირონ ორიგინალური რედაქტორებით: „გაიცანით, საკაძის მემკვიდრეები გახლავთ“-ო.

„მაშ შენი ფიქრით სულ მოსპობილი ვყოფილვართ, გამოსაჩენი თავი აღარ გვქონია“-ო, შემეკითხებით კიდევ. არა, მე ამ აზრისაგან შორს ვარ. პირიქით, ქართველმა ხალხმა ამ საუკუნის დასაწყისში დაიწყო ნამდვილი ისტორიის შექმნა. თანახმა ვარ იმაზედაც, რომ ცუდათ მოქმედებს ნაციონალურ გრძნობაზე, როცა პარიზში ქართველს ხან სომხათ ნათლავენ (როცა ევროპიულად აცვია) და ხან კაზაკათ (როცა ის ჩერკესკაშია) და ვერაფრით ვერ დაასწავლი სიტყვა „ქართველს“, მაგრამ მერე რა? განა ასეთი გზით რამეს გააკეთებენ პატივცემული ახალგაზდები? რასაკვირველია არა. საქმე იმაშია, რომ ყოველნაირ ავათმყოფობას ნამდვილი ექიმები ჯერ მიზეზს მოუძებნიან და შემდეგ მისდაგვარათ ადებენ წამალს. სჩანს არაფერ ინტერესს წარმოვადგენდით თუ დღემდე არავინ შეიწუხა თავი ჩვენი გაცნობით. აქედან კი ცხადია, თუ გვინდა ვინმემ გაგვიცნოს, ჩვენზე ამეტყველდეს, უნდა გამოვიჩინოთ რაიმე საინტერესო მოქმედება, უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი თანამედროვე და მომავალ ისტორიაში და მაშინ ყველა თითონ მოგვლენ ჩვენ გასაცნობათ. მართლაც, განა დღევანდელ ევროპას საყვედური ეთქმის მასში, რომ ცნობის მოყვარეობა არა გაქვს განვითარებულიო? განა მათი კორესპონდენტები, მოგზაურები და სხვა სწავლულები არ ეტანებიან დღეს გამოღვიძებულ სპარსეთს და სხვა მათსავით დღემდე მივიწყებულ ერებს? განა ამის მაგალითები არ მოგვცა თვით საქართველომ 1905 წელს? გაიხსენეთ თუნდ მალოროსებისაგან საზოგადოების დაარსება ქართველთა გასაცნობათ. დიახ, თუ დღემდე ჩვენმა ქირისუფლებმა ვერავის ვერ გააზეპირებიეს სიტყვა „ქართველი“, დღეს მალოროსებმა და რამდენიმე ევროპიელებმა უკვე დაუსვეს თავის თავს კითხვა: „ვინ არიან ქართველები, რომლებმაც 1905 წელში რუსეთის დიდ რევოლიუციაში საპატიო ადგილი დაიჭირეს, რომლებმაც შექმნეს გურიის, ყვირილის, სამეგრელოს, რაჭის, ლეჩხუმის, სოჩის და სხვა რესპუბლიკები და რომელსაც მთავრობამ უთვალავი ტომები მოანდომა“-ო? მახსოვს, 1906 წელში, პარიზიდან ახლათ დაბრუნებულმა სტუდენტ-პატრიოტმა მითხრა: „ნეტავ იცოდე რა დააინტერესა ფრანგები კაკი წერეთლის პიროვნებამ. ბებია მისის ბიოგრაფიაც კი მოათავსეს იქაურმა გაზეთებმა, ნიკოლაძიანთ და წერეთლიანთ გვარები სულ გამოიკვლიეს“-ო. ვეკითხები პატრიოტებს: კაკი რომ პარიზში ჩასულიყო და გზა ჯვარადინზე გრამოფონივით ეძახნა ქართველი ვარ, ქართველი ვარო, ამით ვინმეს დააინტერესებდა? ტყუილათ ფიქრობენ ჩვენი „მა-

,,ახალი'' ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ.

(შემდეგი *)

სად მახი და სად მარქსი? ფრ. მერინგი მართალს ამბობს, მახს აზრათაც არ მოსვლია მარქსიზმის შევსება, ეს რუსეთის მახისტებმა გამოიგონესო *)

მახს ბუნების მეცნიერებასთან აქვს საქმე, ის არ ეხება ისტორიულ მოვლენებს, არ იკვლევს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს.

პირველი შეხედვით მახის ფილოსოფია არც მატერიალისტურია და არც იდეალისტური. ქვეყანაზე არაფერი არაა ჩვენი გრძნობა-შთაბეჭდილებების მეტიო, ამბობს ეს თანამედროვე მოაზრე. დააკვირდით პირდაპირ გამოცდილებას და დაინახავთ რომ თავისთავით არ არსებობს არც მატერია და არც სულიო. თეთრი, წითელი, ლურჯი, მაგარი, მძიმე, ტკბილი და სხვა ათასნაირი თვისებები შეუწყვეტლათ იშლებიან ჩვენ თვალწინ. შევაერთოთ ეხლა ეს თვისებები—სითეთრე, სიმძიმე, სიმაგრე, სიტკბო... და გამოვა ის, რასაც საგანს ან ნივთს ეძახიანო. ეს თვისებები სხვადასხვა ნაირათ იკრიბებიან და ამიტომ გვეჩვენებიან სხვადასხვა საგნათ. ნამდვილათ კი ისინი ჩვენ გრძნობა-შთაბეჭდილებებთან არიან შეკავშირებული, და ამ შთაბეჭდილებებს გარეთ არსად არავითარი საგანი არ მოიპოვებაო. რა იწვევს შთაბეჭდილებას?—არაფერიო გვეუბნება მახი. ვერ ნახავთ იმისთანა საგანს, რომელიც იმავე დროს გრძნობა-შთაბეჭდილებას არ შეადგენდეს, მისგან როგორმე გაირჩეოდესო. საგანი კი არ იწვევს შთაბეჭდილებას, თვითონ ეს შთაბეჭდილებაა საგანიო **).

ასეთია მახის ძირითადი შეხედულება. ამავე აზრებს ქადაგებდა რიხარდ ავენარიუსი ***). ეს მოეწონათ ჩვენ ახალგაზრდა ფილოსოფოსებს, და ამით მარქსიზმის „გაფართოებას“ სცდილობენ.

ამბობენ ეს ახალი ფილოსოფია არისო. ჩვენის აზრით კი ამ ძველის-ძველ შეხედულებას ძალიან ახლო ნათესაობა აქვს ყველა იდეალისტურ სისტემებთან.

ავენარიუსის ერთგული მოწაფე იოსებ პეტცოლდი დიდის მოწიწებით იხსენიებს ძველი საბერძნეთის მოაზრეს პროტაგორს ****). ეს პროტაგორი რამდენიმე ათასი წლის წინეთ ამტკიცებდა, რომ გრძნობა-შთაბეჭდილებებს გარეთ ჩვენ არაფერი არა გვაქ საძებარიო. საგანი ის არის, რაც ამა თუ იმ ადამიანს საგნათ ეჩვენებაო. ამ შეხედულებაზე შემდეგ სოკრატმა და პლატონმა ააგეს თავიანთი იდეალისტური მოძღვრება. მართალია გარდამავალია ყველაფერი ეს, რასაც ვხედავთ მაგრამ არის უმაღლესი არსება, რომელიც განაგებს ქვეყნიერებასო. აქ ჩვენ ყურადღებას არაფერი არ უნდა იქცევდეს, აქ არაფერს არა აქვს მუდმივი მნიშვნელობა, და ამიტომ იქ, იმ სოფელს უნდა მივაპყრათ გონების თვალიო. იქ არის სინამდვილე და არა აქ, იქ არის აზრი-იდეა, და ყოველივე ის, რასაც ამ ქვეყანაზე ვამჩნევთ იქაური სინამდვილის სუსტი, ფერწასული გამომხატველიაო აქ არ არსებობს საგანი თავისთავად, ამიტომ უნდა მოვშორდეთ აქაურობას, იქ მივაშუროთო *). ამნაირათ ფილოსოფოსების წარმოდგენაში მსოფლიო ორნაწილათ გაიყო.

საგანს ორნაირი თვისება აქვსო,—ამბობდა მე-17-ე საუკუნეში ლოკკი,—პირველი თავისთავად, ჩვენ შეუმჩნევლად არსებობს, მეორე ადამიანის გრძნობა-შთაბეჭდილებაზეა დამოკიდებული და ამას გარეთ ჩვენ არა ვიცით-რაო. ამ ორჭოფობას თავისებურათ ბოლო მოუღო ინგლისელმა ეპისკოპოსმა ბერკლიმ. ყოველი თვისება, რომელიც წ. ნ. საგანს თან ახლავს, იგივე შთაბეჭდილება არისო, სწერდა ეს იდეალისტი. ამან ისარგებლა ლოკკის შეხედულობით და შემეცნების წყაროთ მარტო გრძნობა გამოაცხადა. თუ ეს ასეა, საგანს მარტო ერთნაირი თვისებები აქვს და ეს თვისებები ჩვენ შთაბეჭდილებებს გარეთ არ მოიპოვებიანო. მაგალითად, მე თუ, სტოლს ვხედავ ჩემ წინ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე შთაბეჭდილებებმა ერთ ჯგუფათ თავი მოიყარეს. მოსპეთ ეს შთაბეჭდილებები და ე. წ. სტოლიც მოისპობაო.

მოვაშოროთ ეხლა ამ საგანს თვალი და ჩვენ თავში მის შესახებ დარჩება წარმოდგენა. აი სწორეთ ამ წარმოდგენაზე იქნება დამოკიდებული შემდეგ მისი არსებობაო. ასე ჩვენ საქმე გვაქვს მარტო გრძნობა-შთაბეჭდილებთან და წარმოდგენებთან,—ეს არის სინამდვილე და სხვა არაფერიო**).

აი ამ აზრებს სიტყვა სიტყვაზე იმეორებენ დღეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარ გარეთ და გვარწმუნებენ ეს სულ ახალი აზრებიაო. ბერკლი***) თუ გაირჩევა მახისაგან, ეს მარტო იმით, რომ ის მსჯელობს ლოღიკურათ, ბოლომდის მიდის, ეს ახალი მოაზრე კი ჩერდება იქ სადაც შეჩერება შეუძლებელია. არის უმაღლესი. ქვეყნიერების მმართველი გონებაო, ამბობდა ბერკლი ღმერთია ამ გონების მატარებელი. იმას ემორჩილებიან ჩვენი გრძნობა წარმოდგენები და ამით აიხსნება ის წესიერება, რომელიც აქ სუფევს, უამისოთ მთელი ეს ქვეყანა სულ აირ დაირეოდა, სხვა და სხვა პიროვნების წარმოდგენაში სხვა და სხვა ნაირ სახეს მიიღებდაო. მახი ვერ ბედავს ამ დასკვნამდის მისვლას, მაგრამ ეს დასკვნა გამოყავსთ მახის მოძღვრებიდან მის საზღვარგარეთელ თანამოაზრეებს. სხვათა შორის ცნობილი მაქს ფეხვორნი მახის თეორიას სოლიპსიზმის სახელით ნათლავს.*) ბერკლი და მახი ერთი მეორისაგან პრინციპიალურად არ განსხვავდებიანო,—ასეთია საერთო შეხედულება დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ ლიტერატურაში. ეს ერთხელ მასაც წამოსცდა,—მე თან და თან ვუახლოვდები ბერკლის მიმართულებასო**).

ეთანხმება თუ არა ეს მიმართულება მარქსის მოძღვრებას?—რა თქმა უნდა რომ არა. მარქსი ამბობს, საგანი თავისთავად არსებობს, ის იწვევს ჩვენში შთაბეჭდილებებსო. მახი გვარწმუნებს, არაა, საგანი—თვითონ ეს შთაბეჭდილება არისო. მარქსი გვირჩევს, მოვლენებზე არ უნდა შევჩერდეთ, ბუნებაზე ჩვენი მხრივ უნდა ვიმოქმედოთ თან და თან აღმოვაჩინოთ მისი გაუცნობელი თვისებები, უამისოთ წინმსვლელობა შეუძლებელიაო. მახი კი გვეუბნება, ჩვენი საქმეა ავსწეროთ მარტო ის, რასაც გრძნობები გვიჩვენებენ, ამას იქით გზა არ გვაქვსო. მარქსი პრაქტიკულ მოქმედებას აქცევს ყურადღებას. ის წინმსვლელობის ღერძათ ბრძოლას აღიარებს. მახის თეორია კი უარყოფს ასეთ ბრძოლას,—გარემოებას, ფაქტებს უნდა შევუფარდოთ ჩვენი შემეცნებაო.

მახიც და ავენარიუსიც იმეორებენ იმ. კანტის აზრს,—ადამიანს თან ახლავს ისეთი საზომი, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, რომ ამ სხვა და სხვა მოვლენებში გზა არ დაეკარგოსო. ყველა ჩვენგანს თან დაყოლილი აქვს ერთი მოთხოვნილება; ყველას უნდა, რაც შეიძლება გაიადვილოს ქვეყნიერების გაგება, რაც შეიძლება ნაკლები დრო მოანდომოს შემეცნებასო***) ამ ფილოსოფოსების შეხედულებით აზროვნობაში ე. წ. „ეკონომიაა“ საჭირო, ამას მოითხოვს ვითომ ადამიანის ბუნება. რაც უფრო ნაკლები სამუშაო ექნება გონებას, იმდენათ უკეთესია,—ასე გამოდის, ასეთია თურმე შემეცნების იდეალი.

რა თქმა უნდა მახის და ავენარიუსის თეორია საუცხოვოთ აკმაყოფილებს ამ „თანდაყოლილ მოთხოვნილებას“. მე და ჩემი გრძნობა-შთაბეჭდილებები—ეს არის და ეს; აბა ამაზე მეტი „ეკონომია“ რაღა იქნება?

ამას გვირჩევს მარქსიც? რასაკვირველია, არა, აზროვნობა გამომხატველია ი არსებობის (бытіе) რომელიც ობიექტურათ იმყოფება. ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მართლად გავიგოთ ე ობიექტიური ქვეყანა, და მაშ აზროვნების ენერგია უგზო-უკვლოთ არ გაგვეფლანგება. ადამიანს თანდაყოლილი არა აქვს რა, ის ბუნების, საზოგადოების ნაწილს შეადგენს. თანდაყოლილი მოთხოვნილება სუბიექტიური იდეალისტების, სოლიპისტების გამოგონებაა, და სხვა არაფერი.

არსებობს თუ არა მახის და ავენარიუსის აზრით ე. წ. ობიექტიური ჭეშმარიტება? ცხადია, რომ არა. ა. ბოგდანოვი გაცხარებით ეკამათება ბელტოვს-პლეხანოვს, უმტკიცებს არავითარი ობიექტიური ჭეშმარიტება დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებაო. *) მოწმათ ამ მ ხის მიმდევარს ენგელსი მოყავს. ის ა ტიდიურინგში ამბობს, ჩვენ მუდმივი ჭ შმარიტება არა გვწამს, არ არის ამისთ ნა ჭეშმარიტებაო. ბოგდანოვს მუდმ და „ობიექტიური“ ერთმანეთში აუ ვია და ორივეს ერთად უარყოფს.

მაშ რა არის მართალი და რა ა

---

*) ცელლერის—ფილოსოფიის ისტორია.

**) მახის „Анализъ ощущенiй“ 1904 წლის გამოცემა გვ. 18, 98, 145.

***) Человѣческое понятіе о мірѣ.

****) «Проблема міра». გვ. 203.

*) „ნოიე ცეიტ“ 1909 წ. 29 ოქტომბერი.

**) ახალი ფილოსოფიის ისტორია—ვილდენბანდისა. კუნო ფიშერისა. ფალკენბერგისა და სხვა.

***) ეს ფილოსოფოსი მე-18-ე საუკუნეში ცხოვრობდა.

*) იხ. «Современный міръ“ 1908 ნოემბერი.

**) Анализъ ощущенiй, ახალი გამოცემა 292.

***) ავენარიუსის «Человѣческое понят о мірѣ.» მახის «Ученіе о теплотѣ» დ მისი ნაწარმოები.

*) ა. ბოგდანოვის—Приключенiи од философской школы. გვ. 22—26.

ის შვილები“, ვითომ სომხებს იმიმ იცნობენ, რომ ისინი ბევრს ყმებენ თავის თავზეო. სრულიადაც არა. ხეს რომ მოხთბის იუბილეი ეხადნათ ლთანისა და შახისათვის, მათი არსებაც არავის ეცოდინებოდა. მაშასამე, ვიმეორებ, საჭიროა „საქმენი საგრონი“ და არა ქუდ მოხდილი ხვეწნადარა, „შენი ჭირიმე გამიცანი“-ო.

ზევით ვსთქვი, რომ რამდენიმეთ უკვე ინტერესდენ ქართველების გაცნობათქო. ეს ინტერესი დღეს აღარ იზრბა. რა არის ამის მიზეზი? ის რომ 05 წელი ხანმოკლე გამოდგა, ის ხალვინც ინტერესს ჰქმნიდა მიწაზე დაარცხეს, მოწინავე მებრძოლი ჩამოაცას, ზოგი მკვდარი და ზოგი ცოცათ, სარჩო-საბადებელი ცეცხლს მისს და ამნაირათ ლონე მოიკრიბონ, ეზადონ ისტორიის გასაგრძელებლათ, ჭირო დახმარება და ამ დროს ჩვენი ტრიოტების მარჯვენა ფრთა—კაპიტასტები—„ჭეშმარიტ რუსთა“ მათრახესაშუალებით ერეკება თავის ეზოებინ, დღეს ქუჩაში მოყიალე, 1905 წელისტორიის შემქნელთ, და მარცხენა თა — ინტელიგენცია —საზოგადოებას სებს ევროპიელებისთვის. თუ კი ამ ლგაზღებს დრო და შეძლება მორჩელი ქონდათ, ის არა სჯობდა, რომ როპიულიდან ჩვენთვის გადმოეთარნათ რამე და მით ხელი შეეწყოთ ჩვეერის გონებრივი ამაღლებისათვის! ნა ცოტა სამუშაოა ჩვენში დღეს ინელიგენტისათვის? წარსულმა მოძრაომ აუარებელი მასალები მოგვცა უკვდავ წარმოებათა შესაქმნელათ და რომ მას ჰიერი ამსრულებლები გამოუჩდებოს, მერწმუნეთ ყველა თითონ გადიარგმნის მას. ან იქნებ ვინმე ფიქრობს ომ ამ შრომას ბაქოელი გაზეთი „მარვალი“ აასრულებს თავის ერთნახევარი ტელიგენტით? ნეტარ არიან მორწმუნი.

ვათავებ: ვისაც სურს, რომ მაზე ილარაკონ, მან საამისო უნდა შეჰქნას ამე. რეკლამა ვაჟრებისაა.

დათიაშვილი.

ახალი ამბები

ყვირილადან გვატყობინებენ: აგერ ამი კვირაა, რაც აქ ჟურნალ-გაზეთები რ გვინახავს. ჩვენთვის აღარც ქუთათური ჟურნალ-გაზეთებია და აღარც თფილისის. ხშირათ შეხვდებით ისეთ პირებს რომლითაც ჟურნალ-გაზეთებიდან ამბის შეტყობა უნდათ, მაგრამ რა უნდა შეატყობინო, როცა თვითონაც არა იცი რა. არა ეშველა რა აქ ჟურნალ-გაზეთების ყიდვა-გაყიდვის საქმის მოწესრიგებას. ამის მიზეზათ ასახელებენ მას, რომ აქ, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების ყიდვა-გაყიდვის საქმის ალებაში, მთავარ აგენტს ბ. რუკოვიჩთან ქიშპობა გაუმართავთ აქაურ ერმილე ს-ძე კვინიკაძეს და მ. ს. გაჩეჩილაძეს, რომლებსაც ერთიმეორე ჯერაც ვერ დაუძლევიათ და საზოგადოებას კი სული ხთება ჟურნალ-ზეთების უქონლობის გამო. როგორც გავიგეთ, ზოგს საჩივრის აღძრა განუზრახავს სადაც ჯერ არს ამ საქმის შესახებ ვნახოთ, რა იქნება.

◆ **„ბატაილ-მირზოევის“ საქმის შესახებ.** თფ. ქალაქის გამგეობა აცხადებს: სიმართლეს მოკლებულია გაზეთების ცნობები, თითქო თფილისის ზოგიერთი ჟურნალისტები ქალაქის გამგეობის მიერ შესყიდული იყო ბელგიის უსახელო საზოგადოების ინტერესების დასაცავათ. პირ იქით, თვით გამგეობამ გამოააშკარავა ტრამვაის დირექციისა და ქალაქის საბჭოს ერთი ხმოსნის საიდუმლო ხელ-შეკრულობა, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ ამ პირმა საბჭოს ხმოსნობას თავი დაანება. (პეტ. დეპ. სააგ.).

◆ **ბატაილს ხელშეკრულობას მოთხოვეს.** თფ. ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმათ, ქალაქის გამგეობამ ოფიციალურათ მოთხოვა ბატაილს, დაუყონებლივ წარმოადგინოს ტრამვაისა და ამხ. „კურიერ“-ის შორის დადებული ხელშეკრულება და თუ ხელშეკრულობა ცენტრალურ გამგეობაში არის გაგზავნილი, უკანვე გამოითხოვოს და გამოგზავნოს.

◆ **ტრამვაის ვაგონი კიდევ გადაბრუნდა.** სამშაბათს, 9 თებერვალს, კინაღამ 5 იანვრის უბედურება გამეორდა. ორთაჭალიდან მიმავალი ვაგონი № 3, იმ დროს, როცა ის ტოლეს საპნის ქარხანას მიუახლოვდა, რაღაც მიზეზის გამო ცალ გვერდზე გადაქანდა და კიდეც გადაბრუნდა. არავინ დაშავებულა, თუმცა ვაგონი დაზიანებულია. გამოძიება სწარმოებს.

◆ **თფილისის ჟურნალისტთა საზ.** უკანასკნელ სხდომაზე არჩეული კომისია, რომელსაც «ბატაილ-მირზოევ“-ის საქმის გამოძიება მიენდო, თხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც ხსენებულ საქმის შესახებ რაიმე ცნობები მოეპოვება, მიაწვდინონ მათ ეს ცნობები. (გრიბოედოვის ქუჩა, 22, ო. ს. ბუკშტეინის სახლი, დღით 4—6 ს).

◆ **შუამდგომლობის შეწყნარება.** ქალაქის თავის მოადგილე წინადადებას აძლევს ქალაქის იურისტ ონსულტს, შეაჩეროს საჩივარი ტრამვაის გადასახდომ ბილეთების ვადის შემცირების შესახებ, რადგან თვით ბატაილი თხოულობს საჩივარის შეჩერებას მანამდის, სანამ ქალაქისა და ტრამვაის იურის-კონსულტები თათბირს არ მოახდენენ და ხელ შეკრულობის გადასაშინჯავათ და ამ საკითხის გამორკვევამდე შეჩერებულია ბატაილის განკარგულებაც გადასახდომ ბილეთების ვადის შემცირების შესახებ.

◆ **აკაკის კრებული.** როგორც გადმოგვცეს, პოეტი აკაკი ამ მოკლე ხანში გამოსცემს ჟურნალ „კრებულს“. კრებულში დაიბეჭდება აკაკის ახალი პოემები: „გორგასლანი“, „ვორონცოვი“, კომედია—„რეაქცია“, ლექსები და იგავარაკები. კრებულში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ჩვენი ცნობილი მწერლებიც.

◆ **ჯეჯილის იუბილეი.** გაზ. „ფონი“ გადმოგვცემს, რომ ჟურ. „ჯეჯილის“ იუბილეიში, რომელიც 14 თებერვალს, გაიმართება თფილიში, ქუთაისის ქალებიც აპირობენ მონაწილეობის მიღებას.

◆ **წ. კ. გამ. საზ. გამგეობის წევრთა** კრება მოხდება დღეს, 11 თებერვალს. სხდომაზე გაარჩევენ მორიგ საკითხებს.

◆ **ქალაქის მთავარ ბუხგალტრის,** ერმიშევის ადგილას დაინიშნა ქალაქის გამგეობის მდივანი ს. დანდუროვი.

◆ **ავათმყოფთა რაოდენობა.** არამიანცის სახელობაზე ახლათ დაარსებულ საავათმყოფოში ავათმყოფთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. მათი რიცხვი ამჟამათ 80-მდე ადის.

◆ **ტუბერკულიოზთან მებრძოლ** საზოგადოების სხდომა დანიშნულია პარასკევს, 12 თებერვალს. საზოგადოება განიხილავს აბასტუმანის სანატორიის შენობის გეგმას, რომელიც ამ ჟამათ უკვე მზათ არის.

◆ **პროფ. არტემიევმა** დეპეშით აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ის თფილისში 18 თებერვალს ჩამოვა. პროფ. არტემიევის ჩამოსვლას დამოკიდებულობა აქვს ქალაქის ელექტრ. სადგურის აგების საქმესთან.

◆ **ჩხრეკ ა. შანშიაშვილის ბინა,** 10 თებერვალს, დილით, პოლიციამ გაჩხრიკა. წაიღეს ხელნაწერები და წიგნები.

◆ **ახალი გაზეთი.** ახლო მომავალში ქ. თფილისში გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული სომხური ჟურნალი „ჟოღოვურდი» —(ხალხი).

◆ **გაზეთი „ესპერანტო“.** თფილისის გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო თფილისის მოქალაქე ა. ტერ-ასტვაცატურიანს, გამოსცეს «ესპერანტოს» ენაზე ყოველ-თვიური გაზეთი „კავკ. ესპერანტისტი“.

◆ **შემახა.** ორი შეიარაღებული უცნობი ღამით თავს დაესხა ბოქაულების თანაშემწეთ. სასიკვდილოთ დასჭრეს პორომანოვი, კრულეცკი—მსუბუქათ. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში ნ. დავითაშვილის და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ი. პოტოპენკოსი „მომხიბლავი ზღაპარი“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

◆ **უგზო-უკვლოთ დაკარგული.** თფილისის პოლიცმეისტერი წინადადებას აძლევს პოლიციელთ, ზომები მიიღონ 16 წლ. მ. სარქისოვის მოსაძებნათ, რომელიც 7 თებერვალს სახლიდან გამოვიდა და ჯერ არ დაბრუნებულა. მ. სარქისოვი მადატოვის კუნძულზე ცხოვრობდა და რეალურ სასწავლებელში შესასვლელათ ემზადებოდა.

◆ **საღამო.** 25 თებერვალს, შრომის ბირჟის დარბაზში, რუსულ-ქართულ დრამის არტისტები გამართავენ საღამოს მუსიკალურ განყოფილებით. საღამოს დაწყებამდე ბ-ნი ა. ი. მალხაზოვი წაიკითხავს ლექციას „რომანტიზმი თანამედროვე ლიტარატურაში“. ბილეთების ფასები დაკლებულია.

◆ **უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** ხონის წ. კ. გამავრცელებელ საზ. განყოფილებას გუბერნატორმა ნება დართო დაარსოს უფასო ბიბლიოთეკა—სამკითხველო. ბიბლიოთეკის გამგეთ არჩეულია და დამტკიცებული ხონის მომრიგებელ სასამართლოს თარჯიმანი გაწერელია.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** კვირას, 14 თებერვალს, სახ. სახლში, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ, ნ. გ. ერმოლოვი წაიკითხავს პოლიტიკურ ეკონომიაზე ლექციას. შემდეგ გაიმართება კონცერტი. ბილეთების ფასები დაკლებულია.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი: დიდათ დაგვამწუხრა ძვირფასს მეგობრის ალ. ბახტაძის უდროოთ გარდაცვალებამ მისს მშობელთა და მეგობართა მწუხარებას ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას: მ. არველაძე, ი. სანაძე, ოლ. სანაძისა, ოლ. არველაძისა.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში სამწუხაროთ წერილების ნაწილი არევდარევით არის დაბეჭდილი. მაგ. „ადეუ შემორტმულ ბერდანის“ წერილის ბოლო გადატანილია მეოთხე გვერდზე, მესამე სვეტზე და ჩართულია „უკანასკნელ ფოსტაში“, ხოლო უკანასკნელი ფოსტის ბოლო კი აღნიშნულ წერილის ბოლოთ არის დაბეჭდილი; 2) გ. ურუშაძის „წერილი რედაქტ. მიმართ“-ს შენიშვნაში დაბეჭდილია: ეს შენიშვნა გამოიწვია ბათუმის რევიზიამ „ახ. სხივში“. უნდა იყოს: ეს შენიშვნა გამოიწვია ბათუმის რეცენზიამ—„ახ. სხივში“.

ვერის სახალხო აუდიტორია

ამ ოთხი წლის წინად თფილისში დაარსდა ეგრეთ წოდებული სახალხო გამართობელი საზოგადოება. საზოგადოებას აქვს დაქირავებული სახლი აუდიტორიისათვის და აქვე აქვს მოწყობილი უფასო სამკითხველო. სადაც მიდის ადგილობრივი რუსულ-ქართული გაზეთები. ამ სამკითხველოს აცოცხლებს აუდიტორიაშიგამართული რუსულ-ქართული წარმოდგენები და წლიურათ ქალაქის გამგეობისაგან 400 მ. დახმარება. აუდიტორიის დაარსებიდან დაიწყო მართვა ქართული წარმოდგენებისაც. პირველათ აქ შესდგა ადგილობრივი სცენის მოყვარეებისაგან პატარა დასი; წარმოდგენების დროს მთელ გამგეობის საქმეებსაც ეს დასი აწარმოებდა, ვინაიდან აქაურ საზოგადოებას ჯერ არც სცოდნოდა და მერე ამ წარმოდგენებს ისე უყურებდა როგორც კერძო პირის მიერ გაკეთებულ საქმეს. ამ დასმა ვეღარ შესძლო კვლავ ასე საქმის გაგრძელება და 1909 წელს სეზონის გახსნისას, მოიწვიეს ვერის საზოგადოება, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია მხოლოდ ქართული წარმოდგენებისათვის. საზოგადოებამაც აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი კომისია; გამგეობაც (იგივე კომისია) შეუდგა 1909 წლიდან, წარმოდგენების მართვას. მაგრამ საქმეს ერთი გარემოება არ უწყობს ხელს, სახელდობრ ის რომ ადგილობრივ არ არის საკმაო ძალა სცენის-მოყვარეებისა.

ითი უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენ პრაქტიკულ ცხოვრებაში? ობიექტიურია ის, რასაც ,,საზოგადო მნიშვნელობა‘‘ (ОБЩЕЗНАЧИМОСТЬ) აქვსო გვეუბნებიან მახი ა მახისტები. სწორეთ ამას ამტკიცებენ ნ. მიხაილოვსკი და სხვა ჩვენი სუბიექტივისტები. მართალია, ის, რაც ერთ პიროვნებას კი არა, ბევრს, უმრავლესობას მიაჩნია მართლად. ვთქვათ გლეხების აუარებელი ნაწილი ამბობს, რომ რუსეთში უსათუოდ მიწის სოციალიზაცია უნდა მოხდესო. ამ სიმართლეს მისის ,,საზოგადო მნიშვნელობა‘‘ აქვს, მაშასადამე ობიექტიური ჭეშმარიტება ყოფილა, ამას წინ ვერაფერი დაუდგება. ვთქვათ, ხალხში ათასგვარი ცრუმორწმუნეობაა გავრცელებული,—ესეც ,,ობიექტიური ჭეშმარიტებაა‘‘. მაქვს თუ არა, მაგალითად, მე, უმცირესობის წარმომადგენელს, ობიექტიური საშუალება რომ ვებრძოლო ამ ცრუ-მორწმუნოებას? —რა თქმა უნდა, რომ არა.

ასეთია მარქსის მოძღვრება?—არა და რა. ისტორიული და საზოგადოებრივი ნვითარება თავის კანონებს ემორჩილება, იმას თავისი ობიექტიური სიმართლე აქვს. ეს მწარე სიმართლე დღითი დღე ხას იკაფავს და შეუბრალებლათ არღვევს იმას, რასაც ხალხისთვის ,,საზოგადო მნიშვნელობა‘‘ აქვს. შეისწავლეთ ს სინამდვილე, რომელიც ჩვენ გრძნობა-შთაბეჭდილებაზე არ არის დამოკიდებული და მაშინ მიაგნებთ ობიექტიურ ჭეშმარიტებას. შეიძლება ასეთი ჭეშმარიტება თქვენთვის სასიამოვნო არ იქნეს, მაგრამ რა გაეწყობა, სამაგიეროთ პრაქტიკა იმას ყოველთვის გაამართლებს და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდებით. დაუკვირდეთ დღევანდელ ვითარებას, და ნახავთ, რომ ის თავიდან ბოლომდის მართლებს ამ მარქსისტულ შეხედულებას. აი, მაგალითად, ეს ფ‘ თებ ჩამოშვებული და გზა დაკარგული რუსეთის ინტელიგენცია. რატომ ჩავარდნილა ის სასოწარკვეთილებაში? რატომ და იმას ობიექტიურ სიმართლეთ გამოჩნდა თავისი შეხედულებები რევოლიუციის შესახებ. სინამდვილემ არ გაამართლა ეს სუბიექტიური იმედები, და ხალხი ტუტუციაო გამოაცხადა ,,ინტელიგენციამ‘‘. ეს ახალი ,,ობიექტიური‘‘ ჭეშმარიტება ძალიან გავრცელებულია ახლა ზოგიერთ წრეებში და ამ ნიადაგზე აღმოცენდა ,,ახალი‘‘ პრაქტიკა. ინტელიგენციამ საზოგადო მოღვაწეობას თავი დაანება, ზოგი სანინის გზას დაადგა, ზოგი ახალი ხატების ძებნას შეუდგა,—ერთი სიტყვით პირადი სიამოვნების დროშა მაღლა აფრიალდა. მხოლოდ პროლეტარული, მარქსისტული ინტილიგენცია არ შორდება ბრძოლის ველს. ამან იცის რეაქციის ობიექტიური თვისებები და დარწმუნებულია, რომ იმას ბოლო მოეღება, აი ეს ინტელიგენცია სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, ის ხედავს, რომ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, თავისი შედეგი.

რა მიზეზი, რის შედეგი, ვინ მოიგონა ეს, ობიექტიურათ ამას ვერსად ვერ ვნახავთ მეცნიერულათ ჩვენ თავის დღეში ვერ დავამტკიცებთ, რომ ერთი საგანი მეორესთან შეკავშირებულია, რომ ერთი მეორეს იწვევსო. ასე ფიქრობენ მახისტები. რა არის ახალი ამ ფილოსოფიაში? არაფერი. მე-18-ე საუკუნეში ძალიან გავრცელებული იყო ეს აზრი. იუმი ამბობდა, მაგალითად, რომ საგანი ჩვენი გრძნობიერებიდან არაფრით გაირჩევა და ამიტომ პირდაპირი გამოცდილება არაფერს არ გვეუბნება ობიექტიური აუცილებლობის შესახებ. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ მოვლენას, მეორე მოყვება ხოლმე თან; ასე ხდება დღეს, ხვალ, ბოლოს ეს გვახსოვდება, ამას ეჩვევა ჩვენი თვალ-ყური და გვგონია, რომ ბუნებაში რაღაც მიზეზები არსებობენ, ვითომ ამ მიზეზებს თავისი აუცილებელი შედეგები აქვთო. ჩვენ გვინდა რომ ბუნებაში წესიერება იყოს დაცული და ამიტომ შეგვაქვს იქ, რაც ჩვენზე დამოუკიდებლათ არ არის, ჩვენ მხოლოდ გვწამს, რომ ერთი მოვლენა მეორეს იწვევს, ამის დამტკიცება კი არ შეიძლება, აქ მეცნიერებას ადგილი არ აქვსო. *)

შევადაროთ ეხლა ამას თანამედროვე ფილოსოფოსების აზრი და განსხვავებას ვერ ვიპოვით, რამდენიც უნდა ვეძებოთ. ამას ამბობს ავენარიუსი **) ამას ამტკიცებს სხვანაირი, უფრო ბუნდოვანი სიტყვებით მახიც. ***) მატერიალისტი ამბობს, როცა ჩვენ მაგალითად, ხმა გვეყურება, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჰაერის მოძრაობაზეა დამოკიდებულიო. ტყუილია ეს მატერიალისტური შეხედულებაო — გვარწმუნებს ლუნაჩარსკი. მიზეზი, შედეგი, ობიექტიური კანონები,—ყველა ეს ადამიანის გონებამ შექმნა და ამ ობიექტიური იარაღით ის გზას იკვლევსო. ჩვენ მეცნიერულათ ვერ დავამტკიცებთ რა მოხდება დღეს ან ხვალ, ვინ იცის, იქნება სულ აირდაირიოს ეს წუთი სოფელიო. *)

ვინ იტყვის, რომ ეს მარქსისტული აზრიაო? არავინ, თვითონ მახისტების მეტი, რასაკვირველია.

საგანს თან ახლავს მისი ცვლილების დასაწყისი, თუ დავუკვირდებით წინდაწინვე წარმოვიდგენთ ამ ცვლილებას. ჩვენ ვთესავთ მარცვალს და ვიცით, რომ იქ მცენარის მატერიალური ელემენტები ჩასახული არიან. უამისოთ შეუძლებელია მეცნიერება და პრაქტიკული მოქმედებაც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პრაქტიკის საზომი მახისთვის არ არსებობს. ნამდვილ მეცნიერულ აზროვნობას პრაქტიკასთან საქმე არა აქვსო, ამბობს ის. **)

ჩვენზე დამოუკიდებელი კანონები ბუნებაშიაც არსებობენ და საზოგადოების ისტორიაშიც. ესაა მარქსისტული აზრი. ბატონყმობა მიტომ მოისპო, რომ იქვე იმყოფებოდენ მისი ძირის მომთხრელი მატერიალური ძალები. კაპიტალიზმი მიტომ უნდა მოისპოს, რომ ის თავისი ხელით ითხრის სამარეს. ეს არის დიალექტიური მატერიალიზმი, ამაზე აღმოცენდა მეცნიერული სოციალიზმი. ამას უარყოფენ მახისტები, და ასე სტოვებენ ისინი მეცნიერულ ნიადაგს, სარწმუნოებას ადგილს უთმობენ. ლუნაჩარსკიმ ხომ შექმნა უკვე ახალი ღმერთი და შესაფერი აკაფისტიც დასწერა. ***) ის კიდევ გვპირდება ერთ სქელ წიგნს ამ ახალი სარწმუნოების შესახებ.

რა თქმა უნდა ლუნაჩარსკის გამოგონება სულაც არ ეწინააღმდეგება მახის მოძღვრებას. ჩვენ ზემოთაც ვთქვით, რომ ეს ფილოსოფოსი შუა გზაზე ჩერდება. ის მატერიასაც უარყოფს და სულსაც. ვინ იღებს ამ არაფრისაგან გამოწვეულ შთაბეჭდილებებს, ვინ არის გრძნობების მატარებელი? ვინ არის ეს ადამიანის „მე“? ამ კითხვას მახი თავისებურათ არჩევს და ამით ვითომ გაირჩევა სოლიპსისტებისაგან. ის ამბობს, შეართეთ შინაგანი გრძნობები,—სიამოვნება, სიხარული, კმაყოფილება... და გამოვა ის რასაც „მე“-ს ეძახიანო. მხოლოდ მახის მიმდევრებმა გადააბიჯეს ამ საზღვარს და სთქვეს, რომ, სწორეთ ეს ადამიანი „მე“, მისი გონებით მხოლოდ ეს უმაღლესი არსებაა ყოველნაირი გრძნობა-შთაბეჭდილებების მატარებელი, ეს არის მარტო ქვეყნიერებაში წესიერების შემტანი, მახი ერთად-ერთი კანონმდებელიო. მახმა თანხმობა გამოუცხადა იმ მოაზრეებს, რომლებმაც ასეთი დასკვნა გამოიყვანეს მისი მოძღვრებიდან. *)

იქ სადაც ობიექტიური აუცილებლობა არ არსებობს, რასაკვირველია სარწმუნებას უნდა მივმართოთ, იქ ჩუმათ სასწაული უნდა ვეძებოთ, ბერ-მონაზვნების ფილოსოფია ნამდვილ ჭეშმარიტებათ გამოვიტანოთ, პიროვნება ზეცაში ავიყვანოთ. მართლა წაიკითხეთ საუკეთესო მახისტის პეტცოლდის წიგნი და ნახავთ როგორ აზვიადებს ის პიროვნების როლს ისტორიაში. **)

აი ამისთანა რეაქციონურ აზრებს გვიქადაგებენ დღეს, და საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ეს აზრები ახალ სიტყვებში არიან გამოხვეული. მართლაც ავენარიუსის სისტემა სავსეა ახალ-ახალი მისგანვე გამოგონილი სიტყვებით, ამდენს მთელ ფილოსოფიის ისტორიაში ვერ იპოვნით.

სად მახი და სად მარქსი... დიდი ხანი არ არის მას აქეთ რაც პირველი მარქსისტები ჩვენში კანტის და მარქსის შეერთებას სცდილობდენ. ეხლა ჩვენი ახალგაზრდა მარქსისტები ბერკლის იუმის, მახის და მარქსის შეთანხმებას გვპირდებიან. ესენი რევოლიუციონურ ფილოსოფიას არღვევენ და რევოლიუციონურ პროგრამას ჯერ შეუცვლელათ სტოვებენ. ასეთია ახლათ მოგონილი «ობიექტიური“ ჭეშმარიტება. ეს არ მოხერხდება. თუ ასეა მარქსის სოციალ-პოლიტიკური პროგრამაც უნდა დაირღვეს. ამას მახისტები ვერ ბედავენ. ჯერ მარტო ლუნაჩარსკი შეუდგა პირჯვრის წერას, მაგრამ იმედია, სხვა ახალი ფილოსოფოსებიც იმის მაგალითს გადაიღებენ. მაშინ მათ აზროვნებაში ლოღიკური ნახტომი მაინც აღარ იქნება.

როგორც ვამბობდით, ყველა ჩვენში აღმოჩენილ ახალ ფილოსოფიურ მიმართულებებს ერთი სარჩული აქვთ ეს სარჩულია მახის და ავენარიუსის თეორია. მერე კი ეს მიმართულებები ერთი მეორისაგან ბევრ პრინციპიალურ კითხვებში გაირჩევიან.—მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ასე ვათავებ ამ პატარა წერილებს. ჯერ ჩვენ კითხვის აღძვრა გვინდოდა. პლეხანოვის არ იყოს, ეხლანდელ დროში ბევრი არიან ისეთი გულ უბრყვილოები, რომლებსაც ფილოსოფია რაღაც მიუწდომელ საგნათ მიაჩნიათ, ფილოსოფოსი ის არის, ვინც მაღლა ფრენს, გაუგებრათ და ბუნდოვანათ ლაპარაკობს. ***) ამ ცრუ მორწმუნოებას აქამდის „საზოგადო მნიშვნელობა“ (общезначимость) ქონდა, ეხლა კი დროა გადავაგდოთ ეს «ობიქტიური» ჭეშმარიტება.

ს. დევდარიანი

---

*) ახალი ფილოსოფიის ისტორია.

**) მახის—Познаніе и заблужденіе. 447, 456, 457.

***) Челов. понятіе о мірѣ.

*) ა. ლუნაჩარსკის წერილი «Русская мисль, 903 წ. VIII—«опознаніи»

**) Познаніе и заблужденіе 10.

***) ა. ლუნაჩარსკის—Религія и соціализмъ.

*) „соврем. мір“, 908 წ. ნოემბერი—ორტოდოქსის წერილი.

**) „Проблема міра“, სადაც ის პროტაგორზე ლაპარაკობს.

***) გ. პლეხანოვის ახალი წიგნი—„Н. Г. Чернышевскій, გვ. 147.

ამიტომ ყოველთვის გვიხდება გარეშე სცენის-მოყვარების მოწვევა. ვიწვევთ ყოველთვის ხან სამ—ოთხს ხან მეტს. თუ მათ უარი გვითხრეს წარმოდგენის გადადება აუცილებელია. სცენის-მოყვარების უარს თითქმის ხელს უწყობს, ის გარემოებაც რომ აქ სცენა ძრიელ პატარაა, ამასთანავე „დეკორაციებიც" არაა საკმაო. ასე რომ თავისუფლად ფრთის გაშლა არ შეუძლია ისეთ სცენის-მოყვარეს, რომელიც შეჩვეულია დიდ სცენაზე თამაშს.

საქმის რიგიანათ წარმოებისათვის საჭიროა გარეშე სცენის მოყვარეები არ გაურბოდენ ვერის აუდიტორიას და ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმაც თავი დაანებონ ერთმანეთში კინკლაობას, ვინაიდან მათი ასეთი საქციელი, ძრიელ დიდ ვნებას მოუტანს ამ პატარა კულტურულ დაწესებულებას.

საჭიროა სცენის-მოყვარეები სიფაქიზით მოეპყრან ხალხის ამ ახლად გაღვიძებულ მოთხოვნილებას, ენერგიულად მოკიდონ ხელი და არ ჩამარხონ ერთხელ ფეხზე დაყენებული საქმე. ბ. ჯაფარიძე.

უკანასკნელი ფოსტა

საზღვარ-გარეთ

მუნიციპალიტეტის პეტიცია. 5 თებერვალს ბერლინის მუნიციპალიტეტის სხდომა მოხდა. სხდომის დარბაზი მთლათ გაჭედილი იყო მაყურებლებით. მუნიციპალიტეტის დერეფანში პოლიციელების ძლიერი რაზმი იდგა.

სხდომას უნდა განეხილა სოციალ-დემოკრატების და ლიბერალების წინადადება მთავრობის სახელზე პეტიციის გაგზავნის შესახებ. პეტიცია მოითხოვს მთავრობის საარჩევნო რეფორმის რადიკალურ შეცვლას და ფარული კენჭისყრის შემოღებას.

მთავრობის საარჩევნო რეფორმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს მოლაპარაკე ორატორებმა.

სოციალ-დემოკრატმა ბორგმანმა პროტესტი განაცხადა პოლიციელების მუნიციპალიტეტში შემოყვანის შესახებ და მოითხოვა დაუყონებლივმათი გაყვანა. ობერ-ბურგომისტრმა თავი იმით იმართლა რომ, პოლიციის უფროსმა პოლიციელები მის დაუკითხავათ გამოგზავნა, რადგან უწესოების მოხდენის ეშინოდა. ობერ-ბურგომისტრის ბრძანებით პოლიციელები გაყვანილ იქნენ თვითმართველობიდან.

„რუსკ. სლოვოს" გადმოცემით, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, კრებამ ერთხმათ მიიღო ლიბერალების წინადადება პეტიციის გაგზავნის შესახებ.

ქუჩაზე შეტაკება არ მომხდარა პოლიციელებთან. გაზეთები თანაგრძნობით შეხვდენ მუნიციპალიტეტის დადგენილებას.

შორეული აღმოსავლეთი.

პროგრესისტების სიეზდი. ჩინელი პროგრესისტები ენერგიულ აგიტაციას ეწევიან კონსტიტუციის დაჩქარებით შემოღების სასარგებლოთ. ამას წინათ პეკინში მოხდა სხვა და სხვა პროვინციებიდან მოწვეულ პროგრესისტ-დელეგატების სიეზდი. სიეზდის სხდომები მოხდა პეკინის ერთ-ერთ კლუბში. დელეგატები თავიანთ სიტყვებში ამტკიცებდენ, რომ აუცილებლათ საჭიროა დაუყონებლივ მოწვეულ იქნას საერობო კრება და შემოღებულ იქნას კონსტიტუციონური მმართველობა. დელეგატები ამბობდენ, რომ ისინი მზათ არიან სიცოცხლე შესწირონ დასახული მიზნის განხორციელებას.—ჩვენ არ გვსურს სიცოცხლე ისეთ დროს, როდესაც მრავალ ტანჯული ხალხი მონობის მძიმე უღელ ქვეშ სულს ღაფავს. დეე, ჩვენი სისხლი დაიღვაროს სამშობლოს საკეთილდღეოთ. ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს, და ჩვენც სიხარულით მიგვაქვს ჩვენი თავი ზვარაკათ სამშობლოს სამსხვერპლოზე.

„რ. ს." სიტყვით, კრების სახელით ჩინეთის რეგენტს გადაეცა მკაცრი შინაარსის პეტიცია, რომელიც მოითხოვს ახლო მომავალში შემოღებულ იქნას ჩინეთში კონსტიტუცია.

დემონსტრაციები ფრანკფურტში. ფრანკფურტში გამართული დემონსტრაციები სისხლის ღვრით დასრულდა.

ამ შემთხვევის გამო სოციალდემოკრატებმა 5 საპროტესტო მიტინგი გამართეს, რომელზედაც სასტიკათ გაკიცხეს მთავრობის და პოლიციის მოქმედება. მიტინგების შემდეგ დემონსტრანტები, რიცხვით 1,200 კაცი, პრეფექტის ბინისაკენ გაემართენ, სადაც თავი მოეყარა დიდ-ძალ უკმაყოფილო ხალხს. დემონსტრანტებმა პრეფექტურის ბინასთან მისვლა ვერ მოასწრეს, რომ ხალხიდან სროლა მოისმა. შემდეგ გამოირკვა, რომ სროლა პროვოკატორებს აუტეხათ. პოლიცია იარაღით დაერია დემონსტრანტებს. გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა: ორივე მხრიდან მოისმა რევოლვერების სროლა და დაჭრილების კვნესა. პოლიციელებს ახალი რაზმი შეემატათ, რომელიც ბრაუნინგებით და მათრახებით იყო შეიარაღებული. ბრძოლა გაგრძელდა დაღამებამდი. მძიმეთ დაიჭრა 50 დემონსტრანტი და 20-მდე პოლიციელი. ჩქარი დახმარების კარეტა გათენებამდის მუშაობდა. ორი დაჭრილი უკვე გადაიცვალა. დატუსაღებულია დიდძალი ხალხი.

გაზეთები სასტიკათ კიცხავენ პოლიციის პროვოკატორული მოქმედებისათვის.

ბერნსის მოწოდება. ინგლისის მუშათა პარტიის ახალმა ლიდერმა, ბერნსმა მოწოდება გამოაქვეყნა, რომელშიდაც ამბობს, რომ მუშათა პარტია მხარს არ დაუჭერს მთავრობას, თუ პრემიერ მინისტრი სეფე-სიტყვაში ლორდთა პალატის „ვეტოს" უფლების მოსპობას არ აღნიშნავსო. მუშათა პარტია აგრეთვე წინააღმდეგი იქნება ბიუჯეტის განხილვისა, სანამ ზედა პალატის რეფორმა არ მომხდარა. „თუ არჩევნებმა საკმარისი ძალა არ მისცა სათემო პალატას ლორდების „ვეტოს" მოსასპობათ,—ნათქვამია მოწოდებაში,—მაშინ საჭიროა ახალი არჩევნების დანიშვნა. თუ ფინანსიური მხრით რაიმე გაჭირვება მიადგება ინგლისს, ამაში პასუხი უნდა აგონ იმ პირებმა, რომლებმაც საერთო კრიზისი გამოიწვიეს".

ნაციონალისტები და რადიკალებიც, „რუს. სლ." სიტყვით, მუშებს თანაუგრძნობენ და მათთან ერთათ მოითხოვენ გარანტიებს მთავრობისაგან.

სამინისტროს მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია, რადგან ერთი მხრით, სასახლის და ლორდების იერიშებს მოელის და მეორე მხრით—დემოკრატების და ირლანდიელების მოთხოვნილებას უნდა გაუწიოს ანგარიში.

მხეცი-კაცი. პარიზში, ვოჟირარის უბანში არაჩვეულებრივი დანაშაულობა აღმოაჩინეს. აფთიაქის პატრონი—ჟან-პარრა თავის 34 წლის ცოლს, 5 შვილის პატრონს, ღალატს სწამებდა. ამ მიზნით ქმარს თვითონ გამოუგონია ე. წ. ,,უმანკოების დამცველი ფარი'' (панцырь цѣломудрія) და ცოლი იძულებული გაუხდია ის ეტარებია. გარდა ამისა, როდესაც ქმარი სახლიდან მიდიოდა ცოლს ჯაჭვით აბამდა საწოლ ტახტზე. ეს ამბავი პოლიციის შეუტყვია და, როგორც ,,რ. ს.'' გადმოგვცემს, სასტიკი ქმარი კიდევაც დაუტუსაღებია. წამებული ქალი კი ნათესავების მზრუნველობის ქვეშ დაუტოვებიათ.

მოძრაობა იტალიაში. იტალიაში ამ ჟამათ ძლიერი მოძრაობა დაიწყო, რომელსაც მიზნათ აქვს თანამედროვე საარჩევნო წესი პროპორციონალურ წარმომადგენლობად შესცვალოს. ახალი საარჩევნო წესის მომხრენი აღნიშნავენ, რომ არსებული საარჩევნო წესით დეპუტატები იძულებული ხდებიან მხოლოდ თავის ოლქის წვრილ ინტერესებს დაექვემდებარონ. ეს გარემოება კი ხელს უშლის მსხვილ პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვების გადაწყვეტას. პროპ. წარმომადგენლობის მეთაურები მომხრეებს ეძებენ უმთავრესათ დემოკრატიულ და მუშათა წრეებში.

რუსეთი.

ჭ. რ. კავშირში. „ჭეშმარიტ-რუსთა" კავშირის ოდესის განყოფილებამ დაადგინა კავშირიდან გააძევოს წევრები მამა-შვილი ზაიჩენკოები, რომელნიც სპართეთის ელჩებათ ნამყოფი არიან, მოქმედებისათვის, რომელიც „კავშირს ზარალს აყენებს და ჩირქს სცხებს". მათ გარდა განყოფილების წევრებიდან გამორიცხეს პოლკოვნიკი სკორნიაკოვი, რომელსაც ბრალს დებენ, რომ მან საჩივარი აღძრა ოდესის ჭ. რ. კავშირის ბელად გრაფ ჭ. რ. კ. უმთავრეს საბჭოში. კონოვნიციზე.

მუშათა მოძრაობა. საფაბრიკო ინსპექტორების ანგარიშებიდან სჩანს, რომ გასული წლის ივნისიდან ნოემბრამდე მუშებს 89 გაფიცვა მოუხდენიათ, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ 20,246 მუშას. გაფიცული მუშები შეადგენენ 53% მუშების საერთო რიცხვისას იმ ქარხნებში, სადაც გაფიცვას ადგილი ქონია. მუშებს გაფიცვის გამო დაუკარგავთ 136,020 სამუშაო დღე. ყველაზე მეტი გაფიცვა მომხდარა ჩრდილოეთ დასავლეთ მხარეში (34), შემდეგ ცენტრალურ გუბერნიებში (16), სამხრეთ რუსეთში (11), პოლონეთის სამეფოში (10), ბალტიის მხარეში (9).

გაფიცვების უმთავრეს მოთხოვნილებათ თითქმის ყველგან წამოყენებული იყო ხელფასის მომატება. გაფიცვების დიდი ნაწილი, 8070 მუშების დამარცხებით დამთავრდა.

მუშათა შორის

თფ. რკ. გზის დეპო. ამ თვის შუა რიცხვებში დეპოს მოსამსახურენი, განსაკუთრებით მემანქანენი და მათი თანაშემწენი, 25 წლის იუბილეს უხდიან მემანქანის თანაშემწეს ბ-ნ რ—ძეს, კაჩეგარს ხ—ვას და სლესარს კ—ტას. ხუმრობა საქმე არ არის, 25 წელი დეპოში სამსახური, მით უმეტეს ორთქლ-მავალზე. დღე და ღამე მუშაობა, უძილობა, არა ნორმალური ცხოვრება ისე აუძლურებს კაცს, რომ იშვიათია ამდენი ხანი იმსახუროს და მთელი შენი ჯანი არ შეალიო ამ წყეულ მანქანას. ამიტომაც არის, რომ თითქმის ჩვეულებად გადაგვექცა ყველას „იუბილეი" უხადოთ, ვისაც კი 25 წ. უსრულდება დეპოში სამსახური. რათქმა უნდა ყველას უფლება აქვს თუნდ ყოველ დღე მართონ ურთ-ერთ შორის „იუბილეი" თუნდ 10 და 15 წლის სამსახურისათვის, მაგრამ როდესაც ამ პატივის ცემას ფართო საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა, როგორც ეს ეს ეხლა არისროდესაც მასში მონაწილეობას იღებს ყველა შეგნებულიც და შეუგნებელიც, ძალა უნებურად არ შეიძლება არ შეეკითხო ამ საქმის ინიციატორთ: განა მარტო ხანგრძლივი სამსახურია საჭირო, რომ ყველას იუბილეი უხადოთ? სრულებითაც არ კმარა, გვპასუხებ მე. ამა თუ იმ ადამიანის დაფასებაში საკმარისი როდია მისი პირადული ღირსება, მისი ერთგული სამსახური, უფროსებისადმი მორჩილება, არამედ საჭიროა კიდევ ადამიანისა მეორე დადებითი მხარე, მისი საზოგადოებრიობა. იგი თავის „მეს" გარეთ უნდა ჰხედავდეს საზოგადო საქმესაც, მისი ჭირი და ლხინი თავისად მიაჩნდეს, თავისი წვლილი შეჰქონდეს კაცობრიობის წინ მსვლელობის საქმეში—ამას კი ეს სამივე პირნი მოკლებულნი არიან. არამც თუ აქტიურათ მიუძღვით რამე, თითქმის ეს მესამე „იუბილიარი" ბევრჯელ წინააღმდეგი ყოფილა მუშათა მოძრაობის. თუ ეს ასე წესად გადაგვექცა როგორც ეს დღევანდლამდის იყო და არის, მე ვფიქრობ ჩვენის მხრით ეს დიდი შეცდომაა. ამით ჩვენ სხვებს იდიოზას გუბადავთ, თითქოს კაცში მარტო საკუთარ „მეს" ვაფასებთ, და პატივს-ვცემთ მარტო იმათ, ვისი მრწამსი რუსები რომ იტყვიან: „моя хата съ краю, ничего не знаю" ამას იქით არ გასცილებია; ასეთ პირთ ჩვენ იუბილეს არ უნდა უმართავდეთ.

იმ დროს, როდესაც სხვა კულტურულ საქმისათვის, როგორც მაგ. ადგილობრივი სამკითხველოა, ან და უსაქმოდ დარჩენილ ამხანაგთათვის გვშურს გროშის გადება, „იუბილეს" გადახდისათვის არ ვინანებთ სამ-სამ მანეთობით. საჭიროა ყოველ გვარ ნაბიჯს, რომელსაც საზოგადო ხასიათი აქვს, ფრთხილათ, დაზოგვით და თავ-დაჭერილათ მოვეპყრათ. თანაშემწე.

პროვინცია

სადგური პუტა. საზიზღარი მკვლელობა. 6 თებერვალს დილის ხუთ საათზე ერთმა გზის მუშათაგანმა, რომელსაც აბანო უნდა გაეთბო, სადგურ პუტაში, შიგ ნახა საზიზღრათ დასახიჩრებული, დანით მუცელგამოჭრილი და რამოდენიმე სხვა ჭრილობებით ცოცხალ-მკვდარი ვიღაც მგზავრი ბაგრატა ცინცაძე, ოზურგეთიდან (როგორც თვითონ ძლივს წარმოსთქვა უკანასკნელათ, თან არავითარი საბუთი, თუ საიდან იყო არ აღმოჩენია.

ის შეიქნა მსხვერპლი ბოროტ-გამძრახველის, რომელსაც ურჩევია, რომ სადგურის ზალიდან, რადგან იქ სიცივე იყო, წაყოლოდა თბილ ოთახში. ისიც დათანხმებია და შესულან აბანოში, რომელიც იმყოფება სადგურზე მოშორებით და მუშების ბარაკთან დასახლოვებით. როგორც ამტკიცებს თვით გარემოება, აბანოში დიდი ომობის მერმე, დაქანცული სისხლში გათხვრნილი დაცემული ძირს სულთმობრძავი. უკანასკნელად სიტყვით წარმოსთქვა, რომ მას ქონდა ტუჟურკა და ერთი აბაზი, რაც აღარ აღმოჩნდა. დაშავებული გაგზავნეს სადგურ აჯიაბულში რკინის გზის ექიმთან, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. ზომებია მიღებული მკვლელის აღმოსაჩენათ. მკვლელობის მიზეზი არ არის გამორკვეული.

მკითხველებს ვთხოვთ შეატყობინონ მოკლულის ჭირისუფლებს ოზურგეთში. მიცვალებული აჯიაბულის სადგურზე ასვენია.

ერთი მოსამსახურეთაგანი.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისის თეატრი, „მარგარიტა გოტიე"

დიდ ქალაქებში, სადაც ხელოვნება ზედმიწევნით განვითარებულია, სადაც მისი გარეგანი, მაგრამ არსებითი მხარე—ტეხნიკაც უმაღლეს წერტილამდეა მისული, სადაც თავს იყრიან გამოჩენილი წარმომადგენელნი ხელოვნებისა, იშვიათათ ჰხვდებით ისეთ ესტეტიურ სიამოვნებას, იშვიათათ მიიღებთ ისეთ ძლიერ, წარმტაც და ღრმა შთაბეჭდილებას, როგორც ეს განვიცადეთ ჩვენ აღნიშნულ წარმოდგენის დროს. გონებით და გრძნობით შეპყრობილი, თითქოს შიშველ ნერვების მაგვარ გადაქცეული-მაყურებელი ისმენდა და იტანჯებოდა, ხედავდა და მღელვარებდა ისე, როგორც თვით მარგარიტა—ნუცა ჩხეიძე. მივდიოდი თეატრში და თანაც ვუსაყვედურებდი ჩემ თავს: რათ იფუჭებ იმ მშვენიერ შთაბეჭდილებას, რათ ახდენ იმ საუცხოვო სურათს, რომელიც აღიბეჭდა მეხსიერებაში შესანიშნავი სარა ბერნარის ხილვით? მაგრამ მოვსტყუვდი! საუცხოვო იყო ამ საღამოს ნუცა ჩხეიძე და უნაკლულო იყო მისი თამაში. ამ საღამოს დამავიწყდა წინათ ნახულიც და გაგონილიც. მარგარიტამ მოიცვა მთლათ გრძნობა და აზრი, მან ჩაზრდილა და დაფარა ყველა და ყველაფერი სცენაზე. სახლში დაბრუნებისას დიდხანს ვერ მოვიგონე თამაშობდა თუ არა მასთან კიდევ სხვა ვინმე...

მარგარიტას ისტორია ეს ძველი, მაგრამ მუდამ ახალი, ეს ყველასათვის ცნობილი, მაგრამ მუდამ ცხოველი და საინტერესო მოთხრობაა დევნილი და ტანჯული ადამიანის. სხეულით დაცემული და გახრწნილი, მაგრამ სულით მაღალი და კეთილშობილი—მარგარიტა უზენაესი და უწმინდესი სიყვარულის წყაროს ეწაფება. ის მიილტვის ბედნიერებისაკენ. ის მზათაა ფეხი შეაბიჯოს ამ ქვეყნიურ სამოთხეში, მაგრამ მას წინ ეღობება თანამედროვე საზოგადოების ზნე-ჩვეულება, ბურჟუაზიული მორალი... და ის იღუპება, მაღლა აფრენილი ძირს ვარდება გულ გაპობილი. მარგარიტა ღვიძლი შვილია თანამედროვე უკუღმართი ცხოვრების პირობებისა, რომელნიც შუაზე ჰკვეთენ ადამიანის ბუნებას: სულს თიშავენ სხეულისაგან და გონებას სულისაგან, რომელნიც არღვევენ ადამიანის პიროვნების მთლიანობას და ჰქმნიან ტანჯვას, სასოწარკვეთილებას, უბედურებას და უდროო სიკვდილს. როცა უკვირდებით მარგარიტას ხანმოკლე, ტანჯულ სიცოცხლეს, ძალაუნებურათ გებადებათ ნატვრა: როდის იქნება ისეთი ნეტარი დრო, როცა სული, გონება და სხეული სრულ და სავსე ჰარმონიას შექმნიან ადამიანის ბუნებაში. ნატვრასთან ერთათ გებადებათ მტრული გრძნობა და სიძულვილი იმ პირობების წინააღმდეგ, რომელნიც ასე უმოწყალოთ და ულმობელათ უსწრაფავენ დღეს სიცოცხლის და სიყვარულის მწყურვალ მარგარიტას. ნაზი და სულით სპეტაკი, სიკეთით სავსე და აზრით თავისუფალი მარგარიტა უბრალო მსხვერპლია სიყვარულის გამო დასჯილი და შეწირული.

ნუცა ჩხეიძემ თავის თამაშით მიაღწია უკანასკნელ წერტილს, საბოლოო მიზანს სცენიურ ხელოვნებისა: არტისტი და მაყურებელი ერთ არსებათ გადაიქცენ, ერთნაირათ ჰგრძნობდენ და იტანჯებოდენ, ერთნაირათ ანაწილებდენ მარგარიტას ცრემლებს და ტკივილებს... დიახ, საუცხოვოთ ჰქმნიდა და გადმოგვცემდა ნუცა ჩხეიძე სულიერ დრამას და ამით გვარწმუნებდა, რომ ის ძვირფასი სამკაულია ჩვენი ნაციონალური ხელოვნების.

იმედაშვილი—არმანი ვერ უწევდა ტოლობას ნუცა ჩხეიძეს. სიყვარულის ცეცხლით მგზნებარე მარგარიტა და ცივი არმანი. ნაზი, მოძრავი და გრძნობით მთვრალი პირველი; უძრავი, მოუხეშავი და მძიმე—მეორე. შეიძლება იმედაშვილი კარგი არმანი იყოს სხვა მარგარიტასთან, სხვა მსახიობ ქალთან, მაგრამ ნუცას გვერდით ის არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ანსამბლს მხარს უჭერდენ გუნია და შ. დადიანი. გარეგნობით, როგორც საზოგადოთ, წარმოდგენა კრიტიკას ვერ უძლებდა. მაგრამ ამ მხრით დაწვრილებით განხილვას მე აღარ შევუდგები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მარგარიტას სალონი, სადაც თავს იყრიან პარიზის არისტოკრატიის ბრწყინვალე წარმომადგენელნი, დაჩონჩხილი და კოჭლი სავარძლებითაა მორთული.

რაზე არ მიაქცევენ ამ მხარეს ყურადღებას და არ გააუმჯობესებენ სცენის მოწყობილებას. ნუ თუ ეხლაც სიღარიბეა მიზეზი?

მასკა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! *) მხოლოდ დღეს გავიგე, რომ თქვენ პატივცემულ გაზეთშიაც დაიწერა ჩემს წინააღმდეგ მოსვლა, რომელიც შეკითხვის სახით გაზ. „მომავალში" იყო მოთავსებული. უნდა დავამოწმო, რომ, მართალია მეტად აღელვებულს და ნერვებ აშლილს მე შემეძლო ფაქტების და საქმის გარემოებების ჯერე-დარევა, მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც არ შემეძლო მეთქვა ის უმსგავსო სისულელე, რომელსაც მე მაწერენ. საზოგადოთ არავითარი ფული უსახელო საზოგადოებისაგან სხვის გადასაცემათ მე არ მიმიღია. თუ მე მოვიწადინე ზოგიერთი მწერლების შეძლების და გვარი დახმარება, **) ვფიქრობ ეს არ უნდა ჩამეთვალოს დანაშაულათ, რადგანაც მე ვეხმარები ყველას, ვინც კი მე მომმართავს, რითაც კი შემიძლია. ამას დაამოწმებს ათასი პირი სხვა და სხვა პროფესიისა და რანგისა.

რაც შეეხება ელიავას და ჯაფარიძეს—მით ამ კითხვის შესახებ მივმართე მხოლოდ როგორც იურისტებს და, თავისთავათ ცხადია, რომ მე უნდა ამეხსნა მათთვის საქმის გარემოება, რათა მიმეღო მათგან შესაფერი რჩევა, თუ როგორ მოვქცეულიყავი იმ ხმების შესახებ, რომელსაც ვიღაცა აგრცელებს ჩემს შესახებ. საზოგადოთ, სანამ მოვრჩებოდე, გთხოვთ შესწყვიტოთ ეს არა საკადრისი მოსვლა ***)

გ. მირზოევი

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა ცოტათი დაგვიანდა, რადგან წერილში არ იყო აღნიშნული საგაზეთო იყო თუ კერძოთ რედაქციის საყურადღებოთ. მხოლოდ შემდეგ, როცა ბ. მირზოევმა გვთხოვა მისი დაბეჭდვა—ვბეჭდავთ უცვლელათ. რედ.

**) „მწერლების შეძლების და გვარი დახმარება" ქონოდა ბ. მირზოევს მიზნათ, თუ ფირმების და მათ შორის უსახელო საზოგადოების ინტერესების დაცვა—ეს დღეს უკვე გამორკვეულია. რედ.

***) „არა საკადრისი" „მოსვლა" კი არ არის, არამედ თვით ის, რაც ბ. მირზოევმა ჩაიდინა, და ყველა პატიოსანი გაზეთის მოვალეობაა ფარდა ახადოს ამგვარი პირების „მოღვაწეობას" და საზოგადოებას მათი ნამდვილი ფიზიონომია დაანახვოს. რედ.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

ქ. ბათუმში
ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობრის
მაღაზია
კ. ა. მაჭარაძისა და კ. ა. ჭეიშვილის
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის დიდის არჩევით ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები", „კლიონკები" და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● ფასები ხელმისაწვდომია ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—32)

სტამბა „შრომა", რუსის ქუჩა № 3.